



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება N247**

24 მარტი 2021 წ.

ქ. რუსთავი

**„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 თებერვლის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 თებერვლის №19 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 08.02.2018 წ., 010250020.35.160.016455) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

**1.1 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართი N1-ში:**

**ა) მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ლ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ლ<sup>2</sup>) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სოციალური მუშაობის კოორდინაცია და ადმინისტრირება.“

**ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ<sup>1</sup>) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სოციალური მუშაობის განხორციელებას, რაც გულისხმობს:

ბ<sup>1</sup>.ა) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;

ბ<sup>1</sup>.ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას;

ბ<sup>1</sup>.გ) ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას;

ბ<sup>1</sup>.დ) ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების

თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას;

ბ<sup>1</sup>.ე) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას;

ბ<sup>1</sup>.ვ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარებას;

ბ<sup>1</sup>.ზ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში სოციალური მუშაობის ჩატარებას.“

## **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი